



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N12

2018 წლის 29 იანვარი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N472 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმაში” ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის N01/530 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N472 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმაში” თანახმად დანართისა;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.შაქარიშვილი);
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);
4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის N03 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების მაღაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმა

N	სპორტული ღონისძიების დასახელება	ჩატარების ადგილი	ჩატარების დრო	თანხა (ლარი)	ღონისძიების მომსახურების დასახელება
1	მხიარული თამაშები ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა	ქობულეთი	II კვარტალი ივნისი	2400	1) ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენთა, მსაჯთა და ტექ.პერსონალის მომსახურება 2) სიგელებით, თასებით და პრიზებით უზრუნველყოფა 3) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	დებულების შესაბამისად	I-II კვარტალი მარტი, აპრილი	2600	1) ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენთა, მსაჯთა და ტექ.პერსონალის მომსახურება 2) სიგელებით, თასებით და პრიზებით უზრუნველყოფა 3) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა მიწი-ფეხბურთში უბნებს შორის	ქობულეთი	II კვარტალი აპრილი-მაისი	4000	1) ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენთა, მსაჯთა და ტექ.პერსონალის მომსახურება 2) სიგელებით, თასებით და პრიზებით უზრუნველყოფა 3) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა

4	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა. გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი.</p>	<p>დებულების ან მომართვის შესაბამისად</p>	<p>წლის მანძილზე</p>	3000	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა.
				8000	გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი.
	სულ			20000	
	2017 წლის დაუფინანსებელი ვალდებულებების დაფარვა				3 160
	სულ ჯამი				23160